

**რეპო გარიგების შესახებ ხელშეკრულების
დანართი №ა (რეპო გარიგება) - [რეპო გარიგების შესახებ ხელშეკრულების ნომერი] - [001, 002, 003,...]**

ქ. [დასახელება]

[რიცხვი] [თვე] 20[••] წელი

1. მხარეები:

- 1.1. **ბანკი:**
 - 1.1.1. სახელწოდება (საფირმო): ს.ს. „საქართველოს ბანკი“;
 - 1.1.1.1. საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869;
 - 1.1.1.2. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):
 - 1.1.1.2.1. სახელი და გვარი: [?];
 - 1.1.1.2.2. თანამდებობა/სტატუსი: [?].
- 1.2. **კონტრაქტენტი:**
 - 1.2.1. სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: [?];
 - 1.2.1.1. საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: [?];
 - 1.2.1.2. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):
 - 1.2.1.2.1. სახელი და გვარი: [?];
 - 1.2.1.2.2. პირადი ნომერი: [?];
 - 1.2.1.2.3. თანამდებობა/სტატუსი: [?].

2. დეფინიციები

- 2.1. **ბლუმბერგი** - ორიდიული პირი: Bloomberg Finance L.P.; რეესტრაციის ადგილი: ამერიკის შეერთებული შტატები, დელავერის შტატი; ან/და მისი შეილობილი/ავლირებული კომპანიები (ვერ-გვერდი: www.bloomberg.net);
- 2.2. **ექვივალენტური ფასიანი ქაღალდი - რეპო გარიგებით** გათვალისწინებული **ფასიანი ქაღალდის** (მოუხედავად იმისა მოხდა, თუ არა შექმნილი **ფასიანი ქაღალდის** კონვერტაცია, დანაწევრება, კონსოლიდაცია ან დაფარვა) **ექვივალენტური ფასიანი ქაღალდი**, რომელიც უნდა იყოს იმავე **ფასიანი ქაღალდის** ემიტენტის იმავე ემისიის შემადგენელი **ფასიანი ქაღალდი** და იდენტური ტიპის (კლასის) და ნომინალური ღირებულების;
- 2.3. **მარჯის განაკვეთი - მხარეთა შორის რეპო გარიგებით** შეთანხმებული პროცენტული მაჩვენებელი, რომლის მიხედვით გამოითვლება **მარჯის ოდენობა**;
- 2.4. **მარჯის ოდენობა** - თანხა, რომელიც აკლდება **ფასიანი ქაღალდის ფასს რეპოს ნომინალური ღირებულების** გამოსათვლელად და რომელიც დაიანგარიშება **ფასიანი ქაღალდის ფასის მარჯის განაკვეთზე** გამრავლებით;
- 2.5. **მარჯის აღდგენა - თანხის გადახდით მარჯის აღდგენა ან/და ფასიანი ქაღალდით გადარიცხვით მარჯის აღდგენა**;
- 2.6. **რეპოს დაფარვის თანხა - რეპოს დაფარვის დღეს კონტრაქტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი თანხა**, რომელიც უდრის **რეპოს ნომინალური ღირებულებისა** და **რეპოს სარგებლის** ჯამს;
- 2.7. **რეპოს სარგებელი** - თანხა, რომელიც გამოსახება მესაქვებამდე დამრგვალებული ათწილადის სახით და რომლის ოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით: $R = r \times n \times t/act$, სადაც: R უდრის რეპოს სარგებელს; r უდრის **რეპოს საპროცენტო განაკვეთს**; n უდრის **რეპოს ნომინალურ ღირებულებას**; t უდრის დღეების რაოდენობას **ანგარიშსწორების დღეს** და **რეპოს დაფარვის დღეს** შორის; act უდრის წელიწადში დღეების რაოდენობას;
- 2.8. **რეპოს საპროცენტო განაკვეთი - მხარეთა მიერ შეთანხმებული წლიური საპროცენტო განაკვეთი**, რომელიც გამოიყენება **რეპოს სარგებლის** დასაანგარიშებლად;
- 2.9. **რეპოს ნომინალურ ღირებულება - ანგარიშსწორების დღეს ბანკის მიერ კონტრაქტისთვის** გადასახდელი თანხა, რომელიც უდრის სხვაობას **ფასიანი ქაღალდის ფასსა** და **მარჯის ოდენობას** შორის;
- 2.10. **ფასიანი ქაღალდი** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები, საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, ეროვნული ვალუტით დენომინირებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ობლიგაციები და ეროვნული ვალუტით დენომინირებული სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც შეიძლება **მხარეთა** მიერ დაიდოს **რეპო გარიგება**;
- 2.11. **ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასი - ბანკის მიერ ბლუმბერგის** სისტემაში შესაბამის **ფასიან ქაღალდზე** გამოქვეყნებული მიმდინარე ყიდვის ფასი, რომელიც გამოსახება ათწილადის სახით;
- 2.12. **ფასიანი ქაღალდის ფასი - მხარეთა მიერ რეპო გარიგებით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდის ფასი**;

3. რეპო გარიგების საგანი

- 3.1. **რეპო გარიგებების შესახებ ხელშეკრულების** და წინამდებარე **რეპო გარიგებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კონტრაქტენტი** ვალდებულია ანგარიშსწორების დღეს (შემდგომში - **ანგარიშსწორების დღე**) საკუთრებაში გადასცეს **ბანკს ფასიანი ქაღალდი**, ხოლო **ბანკი** ვალდებულია გადაუხადოს **კონტრაქტენტს რეპოს ნომინალური ღირებულება**, ამასთან რეპოს დაფარვის დღეს (შემდგომში - **რეპოს დაფარვის დღე**) **კონტრაქტენტი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს რეპოს დაფარვის თანხა**, ხოლო **ბანკი** ვალდებულია გადასცეს **კონტრაქტენტს ფასიანი ქაღალდი ან ექვივალენტური ფასიანი ქაღალდი**.

4. რეპო გარიგების პირობები:

- 4.1. **რეპო გარიგებების შესახებ ხელშეკრულების:**
 - 4.1.1. ნომერი: [ნომერი];
 - 4.1.2. დადების თარიღი: [თარიღი].
- 4.2. **ფასიანი ქაღალდის** საიდენტიფიკაციო ნომერი (ISIN): [?];
- 4.3. **ფასიანი ქაღალდის** ნომინალური ღირებულება: [?];
- 4.4. **ფასიანი ქაღალდის ფასი:** [?];
- 4.5. **ანგარიშსწორების დღე:** [?];
- 4.6. **რეპოს დაფარვის დღე:** [?];
- 4.7. **რეპოს საპროცენტო განაკვეთი:** [?];
- 4.8. **მარჯის განაკვეთი:** [?];
- 4.9. **რეპოს ნომინალური ღირებულება:** [?];
- 4.10. **კონტრაქტენტის ფასიანი ქაღალდის ანგარიში**, საიდანაც გადარიცხება **ფასიანი ქაღალდი ანგარიშსწორების დღეს** და რომელზეც ჩაირიცხება **ფასიანი ქაღალდი რეპოს დაფარვის დღეს**: [?];
- 4.11. **კონტრაქტენტის ანგარიში**, სადაც ჩაირიცხება **რეპოს ნომინალური ღირებულება ანგარიშსწორების დღეს** და საიდანაც გადარიცხება **რეპოს დაფარვის თანხა რეპოს დაფარვის დღეს**: [?];
- 4.12. **პირგასამტეხლო კონტრაქტენტის მიერ ბანკის წინაშე რეპო გარიგებით ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის:**
 - 4.12.1. **პირგასამტეხლო კონტრაქტენტის მიერ ანგარიშსწორების დღეს ბანკისათვის ფასიანი ქაღალდის გადაცემის ვადის გადაცილებისთვის:** [?];
 - 4.12.2. **პირგასამტეხლო კონტრაქტენტის მიერ რეპოს დაფარვის დღეს ბანკისათვის რეპოს დაფარვის თანხის გადახდის ვადის გადაცილებისთვის:** [?];

- 4.12.3. პირგასამტეხლო კონტრაქტის მიერ თანხის გადახდით მარყის ადდენის ან/და ფასიანი ქაღალდით გადარიცხვით მარყის ადდენის ვადის გადაცილებისთვის: [?];
- 4.13. სხვა პირობა: [?];

5. რეპო გარიგების სხვა პირობები:

- 5.1. თუ ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასი შემცირდა იმგვარად, რომ ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასსა და მარყის ოდენობის ნახევარს შორის სხვაობა ნაკლებია რეპოს ნომინალურ ღირებულებაზე, მაშინ ზანკს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ ერთჯერადად ან მრავალჯერადად მოსთხოვოს კონტრაქტს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი:
 - 5.1.1. დაუყოვნებლივ გადაუხადოს ზანკს თანხა, რომლითაც ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასსა და მარყის ოდენობას შორის სხვაობა გაუტოლდება რეპოს ნომინალურ ღირებულებას (შემდგომში - თანხის გადახდით მარყის ადდენა). თანხის გადახდით მარყის ადდენის შემთხვევაში, გადახდილი თანხით შემცირდება რეპოს ნომინალური ღირებულება თანხის გადახდით მარყის ადდენის თარიღიდან და შესაბამისად შეიცვლება რეპოს სარგებელიც, რომელიც გამოითვლება რეპოს ნომინალური ღირებულების დარჩენილი თანხის და რეპოს დაფარვის დღემდე დარჩენილი დღეების რაოდენობის გათვალისწინებით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
 - 5.1.2. დაუყოვნებლივ გადაურიცხოს ზანკს საკმარისი საბაზრო ფასის მქონე ფასიანი ქაღალდი, რომლითაც ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასსა და მარყის ოდენობას შორის სხვაობა გაუტოლდება რეპოს ნომინალურ ღირებულებას (შემდგომში - ფასიანი ქაღალდით გადარიცხვით მარყის ადდენა).
- 5.2. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდით გადარიცხვით მარყის ადდენისას ზანკისათვის გადარიცხული ფასიანი ქაღალდი წინამდებარე რეპო გარიგებით გათვალისწინებულ ფასიანი ქაღალდთან ერთად დაუბრუნდება კონტრაქტს რეპოს დაფარვის დღეს.
- 5.3. თუ რეპოს დაფარვის დღემდე ფასიანი ქაღალდზე ხდება კუპონის გადახდა, ზანკი ვალდებულია კუპონის მიღების დღეს ჩაურიცხოს კონტრაქტს ანგარიშზე კუპონის სახით მიღებული თანხა. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, აღნიშნული თანხა კუპონის სახით მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს მხოლოდ კონტრაქტისთვის.
- 5.4. რეპოს დაფარვის თარიღამდე კონტრაქტს ზანკთან წინასწარი შეთანხმებით შეუძლია რეპო გარიგებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდი ჩაანაცვლოს სხვა ფასიანი ქაღალდით. ამგვარი ჩაანაცვლება უნდა მოხდეს კონტრაქტის მიერ სხვა ფასიანი ქაღალდის გადაცემით, ხოლო ზანკის მიერ რეპო გარიგებით გათვალისწინებული ან ექვივალენტური ფასიანი ქაღალდის დაბრუნებით. ამ შემთხვევაში შესაბამის ფასიან ქაღალდს ექნება იგივე სტატუსი, რაც თავდაპირველ (რეპო გარიგებით გათვალისწინებულ) ფასიან ქაღალდს.
- 5.5. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია რეპოს დაფარვის დღის ცვლილება, რა შემთხვევაშიც მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს რეპოს საპროცენტო კანაკვეთიც.
- 5.6. კონტრაქტი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შესარულოს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება. ამასთან, კონტრაქტის დეფოლტად (შემდგომში - დეფოლტი) ჩაითვლება შემდეგი გარემოებებიდან ნებისმიერის დადგომა: ა) კონტრაქტი ანგარიშსწორების დღეს არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ზანკისათვის ფასიანი ქაღალდის გადარიცხვის ვალდებულებას; ბ) კონტრაქტი რეპოს დაფარვის დღეს არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს რეპოს დაფარვის თანხის გადახდის ვალდებულებას; გ) კონტრაქტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მარყის ადდენის ვალდებულებას; დ) კონტრაქტის მიერ ზანკისთვის მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდა არასწორი ან/და არაზუსტი; ე) კონტრაქტის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ნებისმიერი რეპო გარიგების ფარგლებში ზანკისათვის გადაცემული ფასიანი ქაღალდი არის უფლებრივი ნაკლის მქონე; ვ) არსებობს/დაიწყება კონტრაქტის გადახდის უუნარობასთან/გაკოტრებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება; ზ) კონტრაქტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვალდებულებას/პირობას;
- 5.7. დეფოლტის დადგომისას ზანკი უფლებამოსილია:
 - 5.7.1. მოსთხოვოს კონტრაქტს მხარეთა შორის ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა რეპო გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულება, იმ შემთხვევაშიც, როდესაც შესაბამისი ვალდებულებების შესრულების ვადა არ დამდგარა მოთხოვნის წაყენების მომენტისათვის;
 - 5.7.2. განახორციელოს ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა რეპო გარიგებიდან გამომდინარე მხარეთა ურთიერთმოთხოვნების სრულად ან ნაწილობრივ გაქვითვა, რა შემთხვევაშიც მხარეთა ურთიერთმოთხოვნები საფუძველზე გამოითვლება ნეტვალდებულება, რომელსაც შესასრულებს ის მხარე, რომლის მილიანი ვალდებულებაც მეტია.
 - 5.7.3. ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონტრაქტის მიმართ მოთხოვნები დაიკმაყოფილოს:
 - 5.7.3.1. ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასით ფასიანი ქაღალდის საკუთრებაში მიღების გზით; ან/და
 - 5.7.3.2. ფასიანი ქაღალდის ნებისმიერი ფორმით რეალიზაციის გზით.
 - 5.7.4. სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს რეპო გარიგება, ხელშეკრულება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება.
 - 5.7.5. მოსთხოვოს კონტრაქტს, ხოლო კონტრაქტი ვალდებული ზანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში სრულად აუნაზღაუროს ზანკს დეფოლტის შემთხვევით გამოწვეული ნებისმიერი სახის ხარჯი ან/და ზიანი (ზარალი).
- 5.8. წინამდებარე რეპო გარიგების 5.7.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ზანკის მიერ ფასიანი ქაღალდის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ან/და ზანკის მიერ საკუთრებაში მიღებული ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასი არ არის საკმარისი კონტრაქტის მიმართ ზანკის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კონტრაქტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუხადოს ზანკს დარჩენილი ვალდებულების შესაბამისი თანხა. ამასთან, თუ ზანკის მიერ ფასიანი ქაღალდის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ან/და ზანკის მიერ საკუთრებაში მიღებული ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასი აღემატება კონტრაქტის მიმართ ზანკის მოთხოვნის ოდენობას, ზანკი, ფასიანი ქაღალდის რეალიზაციიდან/საკუთრებაში მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში გადაუხდის კონტრაქტს შესაბამის სხვაობის თანხას.

მხარეთა ხელმოწერები

ზანკი

კონტრაქტი
